საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

ხუთშაბათი ივლისის 7

1921 წ.

№ 104

ფასი 500 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: სოლომონი და იოსები, დები: დარია ეშ-რულისა და ანეტა პუხაშვილისა, რძლები: ნინო და სოფიო თუხარელები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ნადეჟდა დავითის ასული კონტრიძისა**

გამოსვენება მოხდება დღეს ივლისის 7, დიდუბის ეკლესიაში (დიდუბის ქ. 23) დილის 10 საათზე. დაკრძალვა იქვე. 1103

ღრმად დამწუხრებული ძმისწულები და სიძეები რაჟან და დავითი თუხარელები, ოლღა და ნიკო სოლოლაშვილები, მარუსია და იოსები ყუზაროვები, ეკატერინე და დავითი რევაზაშვილები, ელენე და ლუბა თუხარელები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ნადეჟდა დავითის ასული კონტრიძისა**

გამოსვენება მოხდება დღეს, ივლისის 7, დიდუბის ეკლესიაში (დიდუბის ქ. 23) დილის 10 საათზე დაკრძალვა იქვე. 1103

## ფურცლები

51

**რუსეთის კონცესიების ირგვლივ**

თანამედროვე რუსეთის კონცესიების საკითხმა მთელი ლიტერატურა შექმნა. ამ ქამად ეს კითხვა იპყრობს საზოგადოებრივ აზრის ყურადღებას და დიდ მასალას აძლევს ყველა ტიპის კონტრ-რევოლიუციონერს ყოველ დღიურს დემაგოგიისათვის.

კონცესიის საკითხს თან ერთვის კიდევ მთელი რიგი ახალი მასალა საშინაო ეკონომიის სფეროდან. მოიგონეთ თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკა შინ, ფულის სისტემა, გადასახადების დაცვა, ნატურალური გაწერის წერის უკუგდება, მთელი ტენდენცია კერძო თაოსნობის სასარგებლოდ საზოგადოებრივობის ხარჯზე—თქვენ დაინახავთ არა სოციალიზმის სამსახურს, არამედ სოციალიზმის და რევოლიუციის ლიკვიდაციას.

— თქვენ ამტკიცებთ ევროპის რევოლიუციის მოახლოვებას,—ნამდვილად კი ხდება თვით რუსეთის რევოლიუციის ლიკვიდაცია—გვეუბნებიან ვარდის ფერით შეღებილი ნამდვილი კონტრ რევოლიუციონერები.

რასაკვირველია, მეტად საყურადღებო საკითხია, ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა. რუსეთში ჩვენ ერთ რამეს ვამჩნევთ- ეკონომიური მიხვეულ-მოხვეულებს, რუსები რომ იტყვიან—„зигзаги". ეკონომიური დოგმატიზმი შესცვალა ეკონომიურმა კრიტიციზმა, ეს არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაში.

განა ეს ნიშნავს სიბეცეს, ან რაიმე პოლიტიკის ლიკვიდაციას? რასაკვირველია არა! სახელმწიფოს აყვავების გზა კრიტიციზმის გზაა და არა დოგმატიკის, არა შაბლონის, არა ფეტიშიზმის.

რეაქციონურ ძალებისათვის მისაღებია, როცა ბურჟუაზიული ევროპა მიდის „ზიგზაგებით" და ყოველდღე ანგრევს კაპიტალისტური მეურნეობის საფუძვლებს, მაგრამ სოციალისტური მთავრობისათვის „ზიგზაგი" შეუძლებლად არის დასახული თუნდაც ამ გზით მივიდოდით ოქროს ქვეყნისაკენ.

ასეთია კლასობრივი მორალი, რა გაეწყობა!

ჩვენ მაინც გვინდა ვიკითხოთ: რომელმა კომუნისტმა გამოაცხადა რუსეთში კომუნისტური წყობილების დამარცხება, სადაც ყველაფერი ისეა, როგორც ამას გულისხმობს კომუნიზმის მოძღვრება? სადა ან ვინ გამოაქვეყნა ცნობა, რომ რევოლიუცია გათავდა, დამარცხდა კომუნიზმი, დაისვენეთ სოციალისტებო. რასაკვირველია ამის მსგავსი არაფერი მომხდარა. პირიქით, კომუნისტები გზის ყოველ მიხვეულზე გვეუბნებიან, რომ რევოლიუცია არ შეგვთავებულა, დიდი ბრძოლები გვაქვს დასაძლევი, კომუნიზმისათვის დღეს ბრძოლა გვაქვს და არა თვით კომუნიზმი. აი ამ წუთს ჩემს წინ გერმანული კომუნისტური გაზეთია, სწორედ რევოლიუციის დინამიკის საკითხს არკვევს და სწერს—ჩვენ ვიმყოფებით რევოლიუციის არა შენელების, არამედ გაძლიერების ხანაში—(იხ. Москои № 3, 27 მაისის ნომერი)

კომუნიზმი და რევოლიუცია უტოპია არ არის. დეკრეტებით არავითარი წყობილება არც ინგრევა, არც იქმნება. წყობილების ჩამოყალიბება ხდება ხანგრძლივ პროცესში და ნამდვილად შესაძლო ფეოდალიზმის ნაშთების სრული ლიკვიდაცია სოციალიზმს დასჭირდეს. ეს შემდეგს ნიშნავს: ეკონომიური ცხოვრების ყოველ ატრიბუტის ამოგდება დეკლარაციით ადვილია, სინამდვილეში ამისათვის დიდი პოზიტიური მუშაობაა საჭირო.

ეს უნდა იცოდეს ყოველმა პოლიტიკოსმა და პირდაპირ საოცარია, სოციალიზმის ამ ანა-ბანას დღეს ბურჟუაზიის დამქაშები მოგვაგონებენ!

საბედნიეროდ, რუსეთის რევოლიუციონერებს არა თუ აქ არ დაუსვამთ წერტილი, კიდევ მეტი, მათ პირდაპირ აღიარეს: ჩვენ კომუნიზმს ხანგრძლივი მუშაობის პროცესშიაც ვერ შევქმნით, თუ ეს არ გახდა საერთაშორისო წყობილებაო. ესე იგი რუსეთმა მთელი რევოლიუციის ბედი მჭიდროდ დაუკავშირა საერთაშორისო რევოლიუციის იდეას და უდიდესი მეცნიერული, რეალური ცხოვრების გაგების ალღო სწორედ ამით გამოიჩინეს რუსეთის სოციალისტებმა.

რუსეთი, როგორც რობინზონის ან ტიუნენის კუნძული არ არსებობს, ის ზღვაა არსებული კულტურის, რასაც მრავალი ქვეყნის ძალა ერთვის. რუსეთი და უცხოეთი, უცხოეთი და რუსეთი ისეთ მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ნაციონალური გზით რუსეთი ვერავითარ კომუნიზმს ვერ განახორციელებს. ამისათვის გაბედული ინტერნაციონალური პოლიტიკაა საჭირო, რასაც რუსეთი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს.

რას ნიშნავს ინტერნაციონალური პოლიტიკა? კონტრ-რევოლიუციონერებს გონიათ, რომ ეს ნიშნავს კომინტერნის სექციის დაარსებას პრაგაში ან ლივორნოში, ლისაბონში ან მადრიდში. ნამდვილად კი ინტერნაციონალიზმის სიმთელე მარტო პოლიტიკურ ჯგუფების შექმნაში კი არა სჩანს, არამედ ეკონომიკაშიაც ინტერნაციონალურ პოლიტიკის წარმოებას.

ის, ვინც დღეს რუსეთს ურჩევს მოემწყვდეს რუსეთის ეკონომიკის ნაჭუჭში—მტერია არა მარტო რევოლიუციის, ის საზოგადოდ ოცნებობს მთელი სოციალიზმის მოსპობას და თვით რუსის ხალხის გადაშენებასაც. მოდით და დაუჯერეთ რევოლიუციის ბაში-ბუზუკებს და უთხრათ რუსეთს—კაპიტალისტურ ევროპასთან ეკონომიურ ურთიერთობაზე ხელი აიღეო!

ძველი რუსეთი, ან ძველი ევროპა, ღარიბი ქვეყანა, ან უუმდიდრესი სახელმწიფო განა ცხოვრობდა მხოლოდ თავის რესურსებით?

განა რომელიმე ჭკუათა მყოფელს წარმოდგენაშიაც კი დაუშვია, რომ კაპიტალისტურმა სახელმწიფომ ფეოდალურ სახელმწიფოსთან ყოველივე კავშირი გასწყვიტოს?

ავიღოთ თუნდაც ნორმალური ეპოქის უკანასკნელი ცნობები. მთავარია დღეს და წინადაც პურის საკითხი. 1912 წ. საფრანგეთმა შემოიტანა სულ ფქვილი 0,8 მილ. ფუთი, ინგლისმა (შეერთ. სამეფო) 31,6 მილიონი, გერმანიამ—0,9 მილიონი, ბელგიამ 113 ათასი ფ. და სხვა (1912 წ.) მაგრამ უმაღლეს კულტურის ქვეყნებს ხორბალი შემოქონდათ უმდაბლეს კულტურის ქვეყნებიდან. ინგლისს შემოქონდა რუსეთიდან, ურუგვაიდან, ჩილიდან; ბელგიას მოქონდა ოსმალეთიდან, არგენტინიდან, რუსეთიდან; ასევე საფრანგეთს, იტალიას და სხვ.

ასე ხდება და ხდებოდა არა მარტო სურსათის მხრივ. გერმანიის მთელი ინდუსტრია ბელგიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის და ინგლისის თანხებით არის შექმნილი. რუსეთის მრეწველობა საფრანგეთმა, გერმანიამ, ინგლისმა და ბელგიამ შექმნა. **არ არის ქვეყანა, რომელსაც ნაციონალური კულტურა შეექმნა ნაციონალური კაპიტალით.**

დღეს კი გადმომდგარან რეაქციის პირმშო შვილები, გული დაუმშვენებიათ ვარდებით და გვეუბნებიან—შეხედეთ რუსეთს, კომუნისტური რუსეთი კაპიტალისტურ ევროპის თანხებს და კაპიტალს ეყრდნობაო!

რანაირიც არ უნდა იყოს ჩვენი საშინაო, იქნება იგი კომუნისტური თუ ფეოდალური, მისთვის აუცილებელია უცხო ძალების და უცხოეთის თანხების გამოყენება. **კომუნისტურ რუსეთის უბედურება იმაში კი არ არის, რომ ის კაპიტალისტურ ევროპის ძალებს იყენებს, პირიქით, უბედურობაც იმაშია, რომ რუსეთი ამ ძალებს საკმაოდ, სათანადოდ და მეტად ვერ იყენებს.**

რუსეთი იმიტომ იბრძვის საერთაშორისო რევოლიუციისათვის, რომ მან გამოიყენოს თავისთვისაც ევროპის სიმდიდრე. საერთაშორისო რევოლიუცია მისცემს რუსეთს იმას, რასაც ვერ აძლევს კაპიტალისტური უცხოეთი. ყოველი თანხა რუსეთში უცხოეთიდან შემოტანილი, ყოველი მანქანა კაპიტალიზმის ძალით მიღებული არსებითად ამაგრებს რუსეთის კომუნისტურ რეჟიმს, ვინაიდან ფული და მანქანები, წამლები და ფეხსაცმელი კი არ არღვევს კომუნიზმს, არამედ უმანქანობა, უწამლობა და უფეხსაცმლობა შლის სოციალიზმს.

კომუნიზმი ძლიერია იმდენად, რამდენადაც ის ახერხებს მსოფლიოს რესურსების უტილიზაციას, მიღებას, რამდენადაც ის თავის განკარგულებაში აგდებს მეტ ძალებს. უცხო კაპიტალი, კონცესია, ოაზისები კომუნისტურ რეჟიმზე კი ვერ ბატონდება, არამედ რეჟიმი მას იყენებს და იმორჩილებს, სწორედ ისე, როგორც ყოველი სახელმწიფო ყოველ საშუალებას უმორჩილებს თავის წესებს.

რუსეთის რევოლიუციის გამარჯვება იმიტომაც გვწამს, რომ რუსეთის რევოლიუციონერები არც უტოპისტები არიან, არც გულუბრყვილონი. მათ იციან, რასაც აკეთებენ და ჩვენც ვიცით ეს გზა ერთად ერთი მეცნიერული სოციალისტური გზაა.

თედო ღლონტი.

## ქართული პრესა

„კომუნისტის" № 101-ში მოთავსებულია ფ. მახარაძის დასაბუთებული წერილი ჩვენი მრეწველობის სასიცოცხლო საკითხზე სათაურით „ნავთის მრეწველობა საბჭოთა საქართველოში". ავტორი ამბობს: „მიუხედავად იმ დიდ გაჭირვებისა, რომელსაც დღეს ჩვენი მშრომელი ხალხი განიცდის, მიუხედავათ იმ ეკონომიური კრიზისა, რომელიც ჩვენ სულს გვიხუთავს, საბჭოთა ხელისუფლება პირველად იწყებს ჩვენში ისეთ დიდ საქმეს, რომელსაც ნავთის მრეწველობა წარმოადგენს, ვინაიდან იგი ღრმად დარწმუნებულია იმით, რომ მხოლოდ ამ გზით საწარმოვო ძალების აღდგენის საშუალებით,—შესაძლებელია დავსძლიოთ დღევანდელი ეკონომიური კრიზისი და ვიხსნათ მშრომელი ხალხი გასაჭირისაგან".

შემდეგ ქვევით ავტორი განაგრძობს: „საბჭოთა ხელისუფლებას კარგად ესმის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს ჩვენში ნავთის წარმოების გაჩაღებას იმ ეკონომიურ კრიზისის დაძლევის საქმეში, რომელსაც ხალხი განიცდის მორწყვასთან, ელექტროფიკაციასთან ნავთის წარმოება დგას პირველ რიგში, კიდევ მეტი: ნავთის საქმე უნდა დავაყენოთ პირველ ადგილზე".

შემდეგ: „ჩვენ შევსძლებთ ამ საქმით დავაინტერესოთ მუშების და გლეხების ფართო მასები; ჩვენ შევეცდებით გამოვიწვიოთ მათში აღფრთოვანება და ამას ჩვენ შევსძლებთ, ვინაიდან ამ საქმის გაჩაღება-გაჩენა გამოიწვევს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას".

ამნაირად ამ. ფ. მახარაძის აზრით ნავთის წარმოების დაწყება საქართველოში მეურნეობის უმთავრესი საკითხია, რომელიც გააუმჯობესებს მუშათა და გლეხთა მდგომარეობას საქართველოში; ეს წარმოდგენა კი საუკეთესო იმპულსია იმისათვის, რომ დემოკრატიამ ამ დიდ საქმეში აღფრთოვანებით მიიღოს აქტიური მონაწილეობა და ნავთის წარმოების საქმეს ჩვენში საძირკველი ჩაეყაროს.

ავტორი ეხება ხელსაწყობ-იარაღთა და დახელოვნებულ მუშათა ნაკლებობას და გამოსავალს პოულობს: „ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი მეზობელი და ძმური სახელმწიფო—საბჭოთა აზერბეიჯანი—ყველა ამით მეტად მდიდარია და ეჭვი არაა, რომ ჩვენ საქართველოს მუშებს და გლეხებს ის ძმურს ხელს გამოუწვდის." ასე მსჯელობს არა მარტო ფ. მახარაძე, არამედ ყოველი ქართველიც: ჯერ ჩვენ თავზე ვზრუნავთ შემდეგ სხვაზე და სხვის დახმარებაზე. მაგრამ ასე არ მსჯელობს „პრავდა გრუზია" წერილში—„ძალთა დაქსაქსვა". უარყოფილია ამ წერილში ქართული მეურნეობის ინტერესი და ამიტომაც საქართველოს მუშებს ურჩევს აზერბეიჯანის ეკონომიურ კრიზისიდან გამოყვანას შემდეგნაირად: ნავთის წარმოება საქართველოში უაზრობაა, მიეშველეთ აზერბეიჯანს, ყველა ძალები ბაქოს და თუ იქ ნავთის წარმოება აყვავდება, საქართველოც მოსაკითხს მიიღებს ბაქოს მუშებისაგან.

ქართული „კომუნისტი" და „პრავდა გრუზია" სრულიად ერთი მეორის საწინააღმდეგო პოზიციებზე სდგანან არა მარტო ამ საკითხში. ნუ თუ მეორდება „ერთობისა" და „ბორბას" ისტორია ახალი ვარიაციით? და თუ მეორდება ბოლო რითის მოედება ასეთ წინააღმდეგობებს? რაშია საქმე?

## დროისეობაა თუ სიბოროტე? *)

(კინსანის მიერ მეჯლისის შესახებ წამოყენებულ ბრალდების გამო)

ადამიანის შვილი სამარადისო გამოცანა არისო, იტყვის ხოლმე ანდაზა და მართლაც რომ დააკვირდებით ამ ანდაზის შინაარს, დაინახავთ, რომ ეს ისე უბრალოდ წამოსროლილი ფრაზა კი არაა, არამედ საუკუნოების განმავლობაში ადამიანთა ცხოვრებაში დაბადებული, მწვავე ჭეშმარიტება. მიტომაც არის, რომ ზოგიერთების შინაგანი არსების შესწავლა და შეგნება შეუძლებლად ხდება.

ქამელეონივით ზოგიერთებიც წამდაუწუმ იცვლიან ფერს მდგომარეობის მიხედვით. თუ დღეს ის რაიმეს გამო გაგიღიმებს და გეალერსება. ხვალ რაღაც მიზეზის გამო, შენი მტერია და გამანადგურებელი; თუ დღეს თაიგულით გეგებება და პატივსა გცემს, ხვალ ლახვარის დაკვრით სამარადისოდ გაგითხრის სამარეს; დღეს ერთს იტყვის, ხვალ სხვას, და ასე ამგვარად, დროისა და გარემოების მიხედვით ღებულობს სხვა და სხვა მიმართულებას და სახეს, მაგრამ როგორადაც სხვა და სხვა კუთხიდან ამოხეთქილი შურისა და ბოროტების ქარიშხალი ვერ ჩააქრობს ჭეშმარიტების ლამპარს, ისე ზოგიერთი დრო იძენს და ბოროტი პირებიც ვერ შესძლებენ თავიანთი ვერაგობით, სამუდამოდ მოსპონ ცოცხალი სინამდვილე და ჭეშმარიტება. იმიტომ რომ სიმართლე არაა ისე წუთიერი რამ ცნება, არამედ სამარადისოა იგი, არ დამიწება, შეიძლება გაითელოს. მაგრამ ხვალ ისევ აღსდგება.

ჩვენის აზრით ყოვლად შეუძლებელია, რომ მშობლების მოყვარულმა, წინაპრების დამფასებლებმა, მშობლიური მეტყველების შემგნებლებმა, შემნახველებმა და პატივის ამდებლებმა, შეიცვალოს გზა, თვისი ეროვნული სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა, მორალისა, მიმართულებისა და მისწრაფებისა. სწორედ ასეთი ადამიანები არიან ნამდვილი ღვიძლი შვილები თვისი მშობელი ერისა, რომელნიც არა თუ კერძო ინტერესის გამო რაიმე სიბოროტესაც იკადრებენ, არამედ ჭეშმარიტებისათვის საკუთარ სიცოცხლესაც კი არ დაიშურებენ: ოღონდ სამართლიანობა და კაცთ მოყვარეობა იყოს აღდგენილი, დაცული და ისტორიის უხსოვარი დროიდან მათ მამა-პაპათა მიერ შემუშავებული და შექმნილი, მშობლიური სიწმინდეები, იყოს დანიშნულებისამებრ თავიანთ ადგილს ხმარებული და მით სინამდვილე დაცული. მაგრამ ადამიანის ბუნება, რაკი უფრო სიავეს ეტანება ვიდრე სიკეთესა, ამიტომაც არის, რომ ასეთი გულშემზარავი ამბების მოწმენი ვხდებით. სიკეთე ხშირად სიავით იჭარბება, ჯდა სინათლე კი —სიბნელით!..

დიახ; დიდმა რევოლიუციამ, როგორადაც ძალმომრეობის, ვერაგობის და შურის სიბნელით მოცულ რუსეთს მოუვლინა ძმათ მოყვარეობის და თავისუ-

*) რედაქცია საშუალებას აძლევს პატივცემულ მემედ ბეგ აბაშიძეს პასუხი გასცეს მოქ. კინსანს. რედ.

ფლების მზე თანასწორად იხილეს ჭეშმარიტება და იხსნეს თავი მრავალ სულბოროტ აზრებისაგან, მეც მწამს, რომ ჩვენს თანამემამულეთა შორისაც აღმოჩნდებიან მრავალი პირები, რომლებიც ჩვენი მოღვაწეობისა და ცხოვრების სცენაზე, უცხოურების მიერ სინამდვილეს დასაჩრდილავად, წყვდიადში მოქცეულ ჭეშმარიტებას ფარდას ახსნიან და ცხადჰყოფენ ავსა და კარგს, მაგრამ საუბედუროდ დიდის გამონაკლისით ასე არ ხდება. აი, წინ მიდევს ეხლაც გაზეთ „უწყების“ მე 62 ნომერი, სადაც მოთავსებულია წერილი ვინმე კინსანისა: „ახალი მეჯლისის“ სათაურით, შეუძლებლად მიმაჩნია დადუმება. მართალია, როცა ამ წერილს ვკითხულობდი, კიდევაც თავს ვერ ვაჯერებდი და თავისათავად ვამბობდი, ეს ვინსანი უსათუოდ ვინმე უცხოელია, წარმოდგენა არა აქვს ჩვენს წარსულზე და მერე რა ზნეობრივი უფლება აქვს, ასე, ამ გვარად გამოიტანოს ჩვენი მოღვაწეობის შესახებ რაიმე შეხედულობა და მსჯავრი—მეთქი. პასუხიც არ მინდოდა გამეცა, მაგრამ დღეს, როცა საზოგადოებაში ასეთი ჩუმი დრტვინვაა, როდესაც ათასი მითქმა-მოთქმაა, დუმილი ჩემი უსამართლოდ ვცანი და გადავწყვიტე განმემარტა ფართო საზოგადოებისათვის ის, რაც სათქმელი იყო. უმთავრესად სიმართლე და კვალად სიმართლე, სამუსლიმანო საქართველოსათვის ცხრა კლიტულში მჯდომარე სიმართლე. მართალია წერილის ავტორი ვინსანი პირველად არ მეხება მე, ჩემს სახელს სრულიად გვერდს უხვევს, მაგრამ რადგან იგი ეხება ძველ მეჯლისს, სადაც პოლიტიკურ ხელმძღვანელობის მთავარ როლს მე ვასრულებდი, ამიტომ ლანძღვა-გინებაც ჩემდამია მომართული და მაშასადამე, კადნიერებად ნურავინ ჩამომართმევს, თუ მე, მემედ ბეგი, კოლექტიური მემედ ბეგი ძველი მეჯლისის შემადგენლობის სახელით ვილაპარაკებ საზოგადოებისაგან მსჯავრის მისაღებად. თუ პირშავი გამოვდექი, პირშავი და ჩასაქოლი იქნება მთელი მეჯლისიც, რომელიც ფიქრობდა და აზროვნებდა, როგორც მე, ჯერჯერობით კი მოუსმინოთ, თუ როგორ ჭანგზე დამღერის მგოსანი კინსანი:

„ძველი მეჯლისი, რომელიც მიეკედლა მენშევიკურ მთავრობას და აგრეთვე დასავლეთ ევროპის მტაცებლებს მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრებს, რომელნიც ბეგებისა და ხანების, მემამულეების და კაპიტალისტების, ერთი მუჭა მუქთა ხორების ინტერესების დამცველი იყო, მენშევიკების ბატონობის შემდეგ, თავისთავად, ბუნებრივად, რევოლიუციონური კანონის წესით გაშვებულად ითვლებოდა.

მისი არსებობა საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც მშრომელი ხალხი განთავისუფლდა მონობის უღლიდან და თავისი ხელისუფლება დაამყარა რევკომის სახით, მეტი ბარგი და მძიმე ლოდი იყო აჭარის მშრომელი ხალხის ცხოვრებაში და თავისუფლად მოქმედების ძალას ართმევდა, თავისუფალ აზროვნებას უხშობდა.

მით უმეტეს ძველი მეჯლისი არჩეული მენშევიკების მიერ სრულიად ხალხის უნებურად და არა ნორმალურ პირობებში ინგლისელების ბატონობის დროს, თავისი ბატონობის არეს გასაფართოებლად, აჭარის ხალხისათვის თვალების ასახვევად, ხელად და მზაკვრული მიზნის ასაღწევად, თავიანთი სიტიტვლის დასაფარავად“ და სხვა და სხვა...

ამონაწერიდან შემდეგი ბრალდებების ფორმულები შეგვიძლიან გამოვიყვანოთ: 1) ძველი „მეჯლისი“ მიეკედლებია მენშევიკურ მთავრობას, 2) ძველი „მეჯლისი“ მონათ გაუხდა დასავლეთ ევროპის მტაცებლებს, 3) ძველი „მეჯლისი“ მზაკვრული მიზნის მისაღწევად და თავის ბატონობის არეს გასაფართოებლად იღწვოდა და, მაშასადამე, იგი მეტი ბარგი და მძიმე ლოდი იქმნებოდა აჭარის მშრომელი ხალხისთვის“, 4) ძველი მეჯლისი თურმე „გაშვებულად ითვლებოდა“.

ეხლა ჩვენც ვილაპარაკოთ ფაქტები, დავიწყებთ უკანასკნელით და გავათავებთ პირველით, იმიტომ რომ ჯერ ძველი მეჯლისის დაარსების მიზანი უნდა ვიცოდეთ და შემდეგ მეჯლისის ხამუშავის გაკრიტიკება თავისთავად მტაცებლებს, ვინც თვალყურს ადევნებდა საქართველოს პოლიტიკურ ზრდისა და განვითარების ისტორიას, მისთვის ცხადი იქნება, რომ ძველი მეჯლისის შემადგენლობა, არა მართლა 31 აგვისტოსა 1 სექტემბრის 1919 წლის დადგენილებით გამოვიდა ასპარეზზე, არამედ მას დიდი წარსული აქვს. მთელი ათეული წლების, არჩევნებს შემთხვევითი და ფარული სახე როდი ჰქონია. სამუსლიმანო საქართველოს ძველი მეჯლისის შემადგენლობა ყოველთვის ცხადად მოქმედებდა, და მერე იცით, რომელი „სიტიტვლი დასაფარავად“ და რომელი „მზაკვრული მიზნის მისაღწევად“. დედა სამშობლო, საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს შესაერთებლად, ჯერ ძველს რუსთა ბატონობის დროს იმპერიის ვერაგი პოლიტიკა იმაში გამოიხატებოდა, რომ ყოველთვის და ყოველისფერით ხელი შეეშალათ სამუსლიმანო საქართველოს თვითშეგნებისა და თვით გაცნობიერებისათვის. რუსეთის ძველი მართვა-გამგეობისათვის არავითარ ინტერესს არ შეადგენდა ამ ორი მოწყვეტილი მხრის შეერთება და გადანიერება, იგი ხელოვნურად ჰკვეთამდა საქართველოს მთლიან სხეულს, მშობლიურ მეტყველებას ავიწყებდა, მის ნაცვლად რუსული გაებატონებია, და სწორედ ჩვენი ძველი მეჯლისის შემადგენლობა ებრძოდა ასეთ უკუღმართ პოლიტიკას. ფართოდ წელში გავიმართეთ განსაკუთრებით რუსეთში ცარიზმის და დამხობის შემდეგ. მაშინ დაგვიდგა სანეტარო ახალი მუშაობის დღე, მაშინ ავიმაღლეთ ხმა, მაშინ ჩვენ თამამად ვებრძოდით ყველას, ვინც ჩვენ „სიტიტვლეს“ არ დაგვაფარვინებდა „მზაკვრული მიზნების“ განხორციელებაში ხელს შეგვიშლიდა. ვებრძოდით ცარისტების ნაშთებს, ვებრძოდით კუკ-კოლისებს და მის დამქაშებს და გავისტუმრეთ მრავალი მაგავსი გენერლებიც, რომ ჩვენ ნორმალურ მუშაობისათვის ბუნებრივი გასაქანი არ მოესპოთ. აგრეთვე სასტიკად ვებრძოდით საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ მომქმედ „ახალი მეჯლისი“ შემადგენლობას, რომლებიც ძველად გაუგებრობის, ქინიანობისა შეუგნებლობის და თანაც ღენერალი ტერმენების და სხვების მიერ შეცდომაში შეიყვანს გამო „სედაი მილლეთელების“ ბანაკში იყვნენ და როგორც აქა, ისე საზღვარ გარეთიდანაც ეწეოდნენ საზარელ დემაგოგიას (იხილეთ გაზეთ „სოც. ფედ.“ №№ 58—60“, „გასაყიდი ხალხის“ სათაურით დაბეჭდილი ბროშიურის თარგმანი) და როგორ შეეცნენდათ სარწმუნოებისა და ერის მცნებათა გაგებაში ალრევა, ვითომდა დედა სამშობლო საქართველოსთან შეერთება, გაქრისტიანებას მოასწავებდა... და სხვა სხვა..

ეხლა ათასჯერ მადლობა ღმერთს, რომ ჩვეულებრივად უმეცრებასა ჰქუამ დასძლია, უგუნურობას შეგნებამ, და ახალმა მეჯლისმაც, როგორც ჩვენ ისე იქონია საქართველოს სახელმწიფო დედა ქალაქ ტფილისთან დამოკიდებულება, და მით დაადგა ჭეშმარიტ გზასა, გზასა, სამშვიდობოსა...

მამედ ბეგ აბაშიძე.

(დასასრული იქნება).

# საუბარი ქართველ მუშებთან.

1.

ამხანაგო მუშებო! დღეს ჩვენი ძარღვები მეტად გაღიზიანებულია; ყველა გულის ფანცქალით ვადევნებთ თვალყურს რევოლიუციის მსვლელობას და ვკითხულობთ რა მოხდება, რით დამთავრდება მსოფლიოს ჭიდილი? განსაკუთრებით, გვაინტერესებს საქართველოს არსებობის საკითხი. ვერ გაგვიგია რა ვართ დღეს და რას წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფო, არის დამოუკიდებელი თუ არა? ეს საკითხი სწყვეტს მუშების პოზიციას და სწორედ ამისთვის მეც აქედან მინდა დავიწყო თქვენთან საუბარი. თქვენ გაინტერესებთ საქართველოს ბედ-იღბალი, თქვენ ხედავთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შელახულია და რასაკვირველია ეს არ მოგწონთ; ეს ასეც უნდა იყოს. საქართველოში შემოიჭრა უცხო ძალა; ბრძოლაში საქართველო დამარცხდა და მისი ბედ-იღბალი „სხვებს“ ჩაუვარდათ ხელში. მათ შეუძლიანთ საქართველოს დამოუკიდებლობას ხელი არ ახლონ. შეუძლიანთ სრულიად მოსპონ, მათი ამ გვარად შემოსვლა აქ, რასაკვირველია, მიუღებელია, მაგრამ ჩვენ ამას კიდევ შეგვეძლიან შევურიგდეთ, თუ დავინახეთ, რომ ახალი ძალა შემოვიდა, როგორც კეთილ-მოსურნე და არა მტერი ქართველი მშრომელი ხალხისა და საქართველოს დამოუკიდებლობისა, ჩვენ პირველ წერილში შევეხებით ამ საკითხს მხოლოდ ეროვნულ კითხვის სფეროში, თუ რამდენად ახორციელებენ შემოსული კომუნისტები ან კომუნიზმის იდეას, ან კომუნისტურ პროგრამას.

ერის კითხვას შეიძლება ორნაირად შე ხედოთ; ერი—როგორც პრინციპი და ერი—როგორც საშუალება ამა თუ იმ იდეის განსახორციელებლად; კომუნიზმი პრინციპიალურად ერის საკითხს არამედ თუ უარყოფს, გულისხმობს კიდეც. კომუნიზმი თავისთავად შეიცავს ერების თავისუფლების იდეას, მაგრამ არის მეორე მხარე, რომელიც ზოგიერთების აზრით, ერს ხშირად საშუალებად გადააქცევს და პრინციპს დაუპირისპირებს. კერძოდ ჩვენთვის, სოციალისტ-ფედერალისტებისათვის ასეთი სხვა და სხვაობა ერის საკითხში არ არსებობს, ერი ჩვენთვის პრინციპიც არის და საშუალებაც ყოველგვარი რევოლიუციონური შემოქმედებისთვის, მაგრამ ვსთქვათ რომ ასეთი წინააღმდეგობა არსებობს.

კერძოდ საქართველოს საკითხი—არა მარტო პრინციპის საკითხია, არამედ რევოლიუციისათვის ეს საშუალების საკითხიც არის; საქართველო მეტად მნიშვნელოვანი პუნქტია, რომელსაც რევოლიუცია უნდა დაემყაროს, საქართველო ბაზაა, რომელიც აუცილებლად უნდა შეეძინა რევოლიუციას, თავისი მდგომარეობა ის განსამტკიცებლად. ეს ასეც მოხდა; ჩვენ სრულიად არ გვინდა ამით გავამართლოთ კომუნისტების შემოსვლა, პირიქით აბდილად ვამბობთ: რევოლიუციაც და კომუნისტებიც გაცილებით მეტს მოიგებდნენ, რომ გადატრიალება შიგნით, შინაური ძალებით მომხდარიყო და გარედან არ მომხდარიყო. ამით ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ფაქტი, რომ საქართველოს საკითხი რევოლიუციისათვის საშუალებად გადაიქცა და აუცილებლად რევოლიუციას თავის ფარგლებში უნდა მიექცია. მაგრამ საკითხავია როგორ და რა წესით, საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა მოსპობილიყო თუ პირიქით უნდა გამტკიცებულიყო? პირველ პასუხზე ჩვენ გარკვეულად ვთქვით; ეს უნდა მომხდარიყო შიგნით, რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს სოციალისტ-ფედერალისტები გეტყვით საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა შერჩენიყო ყოველგვარ მიზეზებს გარეშე თვით რევოლიუციის განმტკიცებისათვის; მეორენი გვეტყვიან საქართველოს საკითხი ჩვენთვის არ არსებობს; ჩვენ ვიცით რევოლიუცია და საქართველო, როგორც საომარი პუნქტი, როგორც საშუალება რევოლიუციის გაფართოებისათვის. ჩვენის აზრით ამ შემთხვევაშიც არ არიან მართალნი. საქართველოს დამოუკიდებლობა, ხელს რომ უშლიდეს რევოლიუციის მსვლელობას, აფერხებდეს, მაშინ ჩვენ არა გვეთქმოდარა, მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ საქართველოს საკითხში მერყეობა უფრო აფერხებს რევოლიუციას და აზიანებს მას საუკეთესო მებრძოლთ; დასამალი არა არის რა, საქართველოს პროლეტარიატი დღეს პასიურად შესცქერის რევოლიუციის მსვლელობას, მხოლოდ იმისთვის, რომ ის არა გრძნობს თავის დამოუკიდებელ საქართველოს მოქალაქედ. საკმარისია ეს საკითხი დადებითად გადასწყდეს, რომ საქართველოს მუშათა კლასი რევოლიუციის ავანგარდში მოექცეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის კეთილად დაგვირგვინებისათვის.

საქართველოს მუშათა კლასი გაუწევს ანგარიშს იმასაც, რომ დღეს საქართველოს სრული დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ქართველმა მუშამ იცის, რომ მსოფლიო რევოლიუციის წარმოება არ შეიძლება დაქსაქსულად სწარმოებდეს, ამისთვის საჭიროა შეკავშირებულ ხელმძღვანელი ორგანო „მთელი-რევოლიუციონური ლაშქრისათვის“; დღეს რევოლიუციისათვის საჭიროა მოსკოვი არა როგორც რუსეთის სატახტო ქალაქი, არამედ როგორც რევოლიუციის სატახტო ქალაქი; ხვალ მოსკოვი დარჩება რუსეთის სატახტო ქალაქად მხოლოდ რევოლიუციის სატახტო ქალაქი გადავა ბერლინში, ლონდონში ან სხვაგან და მთელი ჩვენი ყურადღებაც იქით იქნება მიქცეული; ჩვენი სურვილი უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს რევოლიუციის ცენტრის ევროპაში გადანაცვლება, რათა რევოლიუციამ მიიღოს გარკვეული სახე სოციალური გარდაქმნისა და ერების საკითხიც ჩვენდა სასარგებლოდ გადაწყდეს. დღეს კი ჩვენ ვამბობთ საქართველოს სახელმწიფოებრივი მდგომარეობა არ გვაკმაყოფილებს, რადგან ივენი დამოუკიდებლობა შელახულია; კომუნიზმის იდეა არ მოითხოვს ამას, რევოლიუციის ტაქტიკა მოითხოვს საქართველოს დამოუკიდებლობას გარკვეული სახე მიეცეს და საქართველო თუ რევოლიუციის წარმოების საკითხში უნდა შეეგუოს მოსკოვის, სადაც ის უნდა შედიოდეს, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, აგრეთვე სრულიად დამოუკიდებლად უნდა აწარმოოს თავისი შინაური ცხოვრება, ენის, ზნე-ჩვეულებათა და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრულის დაცვით. ამას ჩვენ დღეს ვერ ვხედავთ და მთელი ჩვენი ყურადღება აქეთ უნდა მივაქციოთ; ყოველ გზაჯვარედინზე უნდა გავკიოდეთ ჩვენს შელახულ უფლებებზე და ყოველ ზომას უნდა ვღებულობდეთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, რომ ამით რევოლიუციას ჩამოვაშოროთ ზოგიერთი მახინჯი მხარე, რომელიც მიუღებელია კომუნიზმისათვის და თვით კომუნისტების პროგრამისათვის. მეათე ყრილობის დადგენილებებში გარკვეულად არის ნათქვამი, რომ რევოლიუციის ინტერესები მოითხოვს ერების საკითხის დადებითად გადაწყვეტას, მაგრამ ეს დადგენილებები არ ხორციელდება ადგილობრივ კომუნისტური ორგანიზაციების მიერ სავსებით.

არის კიდევ ერთი სერიოზული კითხვაც,—როდის მოგვარდება საბოლოოდ ეროვნულ კითხვა, როდის მოეღება ბოლო ეროვნულ შუღლის და ერების მოთქმას? ამის შესახებ ბევრჯერ აღიკითხავდით „სოციალისტ ფედერალისტის“ ფურცლებზე გარკვეულ პასუხს და მეც ერთხელ კიდევ გავიმეორებ; ეს მოხდება მაშინ, როდესაც ეროვნული საკითხი, როგორც ასეთი აღარ იარსებებს ე. ი. დამყარდება ერთა და მუშათა თავისუფლება; ეროვნული საკითხი თანამედროვე სახით აღარ იარსებებს მაშინ, როდესაც დამყარდება სოციალიზმი. კაპიტალისტური წესწყობილების დროს, ერის და განსაკუთრებით პატარა ერების საკითხი ექსპლოატაციის საკითხია; ძლიერი სახელმწიფოები პატარა ერებს უცქერიან როგორც გემრიელს ან უგემურ ლუკმას, და ისე ათამაშებენ მის ბედ-იღბალს, როგორც მოითხოვს ამას მათი მილიონები, მათი ჯიბე და სწორედ ამიტომ დაჩაგრული ერები არიან მაცოცხლებელი ძალა რევოლიუციისა, რომელმაც უნდა გაანადგუროს კაპიტალისტების მიერ აშენებული ქვეყანა და დაამყაროს თანასწორობა როგორც კლასიური ისე ეროვნული. აი სწორედ ეს გარემოება ვალდებულად ხდის ჩვენ მუშათა კლასს მხარში ამოუდგეს რევოლიუციას და რევოლიუციის გამარჯვებით მოიპოვოს ეროვნული და კლასიური ბედნიერება. რევოლიუცია თუ დამარცხდა, დამარცხდება ეროვნული კითხვაც და საქართველო შეიქმნება კაპიტალისტური ქვეყნების ბრმა იარაღად, ყურმოჭრილ მონად.

ალ. დადეშქელიძე.

# მუშათა წერილები

## სოციალური დახმარება და ღარიბი ხალხი

საზოგადოებრივ მუშაობას დაბალ კლასის მასაში გავლენა მაშინ აქვს, როდესაც თეორიულ მუშაობიდან საქმე ნამდვილ პრაქტიკაზე გადადის. ეს ითქმის დღეს, როცა ამდენი ხნის მომლოდინე, ბევრი დაპირებებით იმედ გაცრუებული და დაღლილი ღარიბი ხალხი სულის სწრაფვით მოელოდა „სამოთხის კარის გაღებას“ რომ ამდენი ბრძოლისა და მსხვერპლის შემდეგ ეგემნა ნამდვილი თავისუფლება, რასაც ის ყოველთვის მოელოდა-ბული იყო. ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომც ჩვენს ქვეყანაში, როგორც წინედ ისე ახლაც, [illegible] საზოგადო საქმე არა [illegible]. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ [illegible] და ახლაც ჩვენ საზოგადოებრივ დაწესებულებებს თანდაყოლილი აქვს ისეთი თვისების ნაკლულევანება, რომლის საქმეც ულარიბეს საზოგადოებაზე, პროლეტარიატზე ვერ ახდენს საგრძნობ გავლენას.

აბა ინებეთ და მიჩვენეთ ისეთი დაწესებულება, რომელიც თავის სიმაღლეზე იდგეს და თავის წევრს, რესპუბლიკის მოქალაქეს სწრაფად და პირნათლად აკმაყოფილებდეს? აბა მიჩვენეთ ისეთი მუშა ან მშრომელი ინტელიგენტი მოქალაქე, რომელსაც სოფლიდან სამი ფუთი ხორბალი ჩამოეტანა ოჯახისათვის გამოსაკვებად და ასეთ ადამიანს ერთი კვირის განმავლობაში საჯაგურეზე არ გამოედამკაინოს და ბოლოს მამონის ღმერთის წყალობით თავი არ ეხსნას ასეთ გაჭირვებიდან? აბა დამისახელეთ დღეს ისეთი მოქალაქე, რომელიც სადგურის კასიდან სამგზავრო ბილეთს თავისუფლად ღებულობდეს და ყოველ შემთხვევაში 100 მან. ბილეთში 10,000 და მეტსაც არ იხდიდეს? აბა გაბედეთ და ეგრედწოდებულ „ჟილიშნიი ოტდელ“-ში მოითხოვეთ საცხოვრებელი ბინა, თუ თქვენ სასურველი შედეგს მიაღწიოთ? აბა გაისარჯეთ სულ უბრალო პატარა საქმისათვის სამილიციო ნაწილში, თუ თქვენ იქ ორი ან სამი დღე არ ისეირნოთ? და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი არა სასურველი დეფექტებია იმ საზოგადო დაწესებულებებში, რომლებიც ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდნენ. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, რომელი ერთი დავასახელოთ და ყველა ამეების შემყურე მოქალაქის თვალში გამონაკლისი აღარა რჩება. ნათქვამია „კაცმა თავი მალოს, მაგრამ პირმა თავი არ დამალოს“. ამიტომ არც ერთმა მოქალაქემ სოციალისტმა კომუნისტი იქნება იგი თუ სხვა მიმართულების, არ უნდა ითაკილოს ამ ნაკლებისა და ფაქტების გამომჟღავნება; პირიქით, საამაყოდაც უნდა დაურჩეს ყოველ მოქალაქეს—მოსპოს და აღკვეთოს ყოველგვარი არანორმალობა, ანარქია და ქაოსი. ამას მოითხოვს ინტერესი სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა, დაწესებულების პატივისა და მისი პრესტიჟის დაცვისა ხალხის თვალში.

მაგრამ ხალხს, ფართო მასას არ ძალუძს პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს არა ნორმალობის მოსპობაში. ხალხს შეუძლიან მხოლოდ დაეხმაროს თავის მთავრობას წესიერების და რიგიანობის განმტკიცებაში.

მთავრობის მოვალეობას კი შეადგენს მთელი თავისი ძალ-ღონით აღადგინოს და შექმნას ნორმალური მდგომარეობა სახელმწიფოში და მით დაიცვას ხალხის ინტერესები. გამოვდივართ რა ამ თვალსაზრისიდან—ჩვენი სურვილია ამ პატარა წერილში მკითხველის ყურადღება მივაქციოთ „სოციალური დახმარების“ უწყებაზე, რომელიც წინედ ჩვენში „ამერიკულ დამხმარე საზოგადოების“ სახით არსებობდა.

ამ საზოგადოებამ, დღიდან მისი დაარსებისა ჩვენში საერთოდ ხალხს დიდი დახმარება გაუწია, რითაც დიდი და განუსაზღვრელი სიმპატია დაიმსახურა საზოგადოებაში. ვინ გინდათ რომ დღეს ამ დაწესებულებაზე არ ლაპარაკობდეს —მდიდარი, ღარიბი, ყრუ საპყარი ერთი სიტყვით ხალხი, რომელნიც კი მოისურვებს ამ დაწესებულებიდან მიიღოს „სოციალური დახმარება“. საკმარისია დასწეროთ თხოვნა და თუ „ბედი გწყალობთ“ მიიღებთ კიდეც. ამ გარემოებას ხელს უწყობს ისიც, რომ დღეს ვეღარ გაარჩევთ, ვეღარ გაიგებთ—ვინ არის მართლა ჩვენში მშიერი და ღარიბი. დღეს ყველა ერთნაირად მოსთქვამს და სწუხს შექმნილ მდგომარეობაზე, მიუხედავად იმისა, მართლა მშიერი და გაჭირვებულია თუ არა. საერთოდ კი სიმართლე უნდა ითქვას ამ დაწესებულებიდან ღარიბი ხალხი სარგებლობდა. ერთ დროს, ერთის შეხედვით ეს საქველმოქმედო საზოგადოება თითქოს სომხეთიდან გადმოხვეწილ ლტოლვილთა მონაპოლიად გარდაიქცა და ამაში თითქოს ყველა რწმუნდებოდა კიდეც. ასეთი შთაბეჭდილების სურათს სხვათა შორის ის გარემოებაც სტოვე-

## ხელ-ახალი რეგისტრაცია.

სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტის დადგენილების თანახმად, მთელ საქართველოში უნდა მოხდეს წევრთა ხელ-ახალი რეგისტრაცია.

ტფილისში რეგისტრაცია დამთავრდა სამ უბანში გრძელდება შემდეგ უბნებში:

1. ვაგზლის უბანში ამხ. კ. ბაქრაძესთან VI საბჭოთა აფთიაქში (ვაგზლის ქ. № 8).
2. დიდუბის უბანში—კბილის ექიმ ბაქრაძესთან მუშტაიდის შესახვევი № 11.
3. ავლაბარში—პარტიულ ბიუროში საღამოს 6—8-მდე (კახეთის მოედანი № 5).
4. მე-9 უბანი—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის განყოფილების მდივან ელიაშვილთან. 9—2-მდე. ჩერქეზოვის ქუჩა № 36 საღ. 4—5-მდე—და აგრეთვე რედაქციაში და ცენტრალურ ბიუროში.

საგანგებო საორგანიზაციო სამეული.

ბდა, რომ საზოგადოდ მსოფლიო ომის და რუსეთის დიდი რევოლიუციის პროცესში თუ ნახავდით ვინმეს ამიერ-კავკასიაში ლტოლვილებს უმეტესად სომხებს. სხვა ეროვნების ხალხს სრულიად არავის ან და სრულიად უმნიშვნელო ნაწილს შეხვდებოდით. და აი ამ სომხის ლტოლვილებს, ამერიკის დამხმარე საზოგადოება დიდს ყურადღებას აქცევდა და ქველმოქმედება ისეთი საგრძნობი იყო ლტოლვილებისადმი, რომ ადამიანს უნებურად დაებადებოდა აზრი, რომ ეთქვა: ალბად ეს სომხის ლტოლვილთა მონოპოლია არისო. ერთ ხანს საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმაც კი იყო. ზოგნი ამბობდნენ, ამერიკა, რომ ქველმოქმედებას ეწევა, ეს დახმარება ვრცელდება მხოლოდ სომხებზე ამიერ-კავკასიაშიო; ზოგნი კიდევ იმ აზრს გამოსთქვამდნენ, რომ ეს მოწყალება არის წარმოგზავნილი ამერიკაში მცხოვრებ სომხის მილიარდერ ბურჟუაზიისაგანაო.

მართალი იყო საზოგადოების ასეთი ეჭვები და უსაბუთო ლაპარაკი? რა თქმა უნდა არა. ვინაიდან ამერიკის დამხმარე საზოგადოების მიზანი, რომელიც გამოიხატებოდა ღარიბი ხალხის დახმარებაში, არ განისაზღვრებოდა არც ერთი ეროვნებით და თუ პირველი და დიდი დახმარება სომხის ლტოლვილებსა ხვდათ ამითი რა თქმა უნდა, კიდევ იმისი თქმა არ შეიძლება, თითქოს ამერიკის სახელმწიფოს პოლიტიკა, მხოლოდ რომელიმე განსაზღვრული ეროვნების დახმარებით ამოიწურებოდეს, თუნდაც ეს ამიერ-კავკასიაში.

მაგრამ ასე იყო, თუ ისე, ყოველი ნაკლი და შეცდომები გაკვეთილად უნდა დავიტოვოთ და ცოდვებიც დავიწყებას მივცეთ.

ახლა კი არსებითად უნდა შევეხოთ იმ დაწესებულებას, რომელიც საქართველოს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სახელწოდებით არსებობს ჩვენში. რა შეიძლება ითქვას ამ დაწესებულებაზე? ბევრი არაფერი. ხოლო შემჩნეული კი არის, რომ ამ უწყებაშიც პატარა დეფექტებს უნდა ჰქონდეს ადგილი. თუ კი შეიძლება პატარა უწოდოთ დღეს რაიმე ამგვარ დეფექტებს.

რამდენადაც ვიცით, ეს დაწესებულება ბურჟუაზიულ კლასის უზრუნველსაყოფად არ არის შექმნილი. არამედ იგი ემსახურება მუშათა კლასის ინტერესებს. ესეც რომ არ იყოს, დაწესებულების პირდაპირი მიზანია—უზრუნველჰყოს სოციალური დახმარებით ისინი, ვინც ამას საჭიროებს. მაგრამ რა ხდება დღეს?

დღეს ბევრი მოქალაქე გვეუბნება:—მე მშვენიერი კოსტუმი მივიღე სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდან;—მე კიდევ მშვენიერი საპალტოვე და კარგი ამერიკული ფეხსაცმელები;—მე კიდევ 24 არშინი მშვენიერი ტილო მატერია და სხვა და სხვა.

ისმენთ ასეთ მოთხრობებს ბევრ შეძლებულ და უზრუნველყოფილი მოქალაქეთაგან, ადამიანებისაგან, რომელთა ასი ათასები და თამამად შეიძლება ითქვას მილიონების რაოდენობა ცნობილია; ხალხი რომელნიც ათასნაირნი სურსათ-სანოვაგით და მრავალნაირი ტანთსაცმელებით მომარაგებულ დატვირთულნი არიან; პირები, რომელნიც იმის მაგიერ რომ იშრომონ და თავიანთ პოლიტიკურ სინიდისის მიხედვით თავიანთი წვლილი შეიტანონ სოციალისტურ სახელმწიფოს აღმშენებლობაში—ვიმეორებთ, მიუხედავად ამისა — ათასნაირ კომბინაციებს აწყობენ და ამით დღევანდელ ცხოვრების ლელოზე „ფონს ადვილად გადიან და თანაც იძახიან, რომ სახალხო უზრუნველყოფის კომისარიატისაგან სოციალური დახმარება მივიღეთ!..

ასეთი შესაძლებლობა, რაიცა ეჭვი არ არის მრავლად ხდება ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა დაწესებულებებში, პირდაპირ განცვიფრებას იწვევს ჩვენში და თანაც დაუჯერებელ ამბავად მიგვაჩნია, ვინაიდან ვფიქრობთ—როგორ შეიძლება სოციალური დახმარება მიიღოს სახელმწიფოში ისეთ ადამიანმა, რომელსაც ჩვენ ასე თუ ისე შეძლებულად ვიცნობთ და ის კომისია, რომელიც იხილავს თხოვნებს, ვიდრე დააკმაყოფილებდეს ამა თუ იმ მოქალაქეს, წინასწარ ნიშნავს კონტროლს ადგილობრივ მთხოვნელის ვინაობის აღსადგენად და რად ხდება კიდევ გაუგებრობანი? ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ამბავი ყურადსაღებია. არ არის ხალხის ინტერესს მოკლებული და ამიტომ მას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ არა ვისთვის არის სასიამოვნო და დამაკმაყოფილებელი ის ამბავი, რომ მაგალითად; მოქალაქე პეტრემ შეიტანა თხოვნა სოც. დამხმარების შესახებ 1 იანვარს 1921 წ. მისი თხოვნა გატარებულია რეგისტრაციაში რომლის ნომერიც არის 100. მაგრამ მოქალაქე ივანემ კი შეიტანა თხოვნა 1-ლ მარტს იმავე წლისა № 160 ე. ი. ორი თვის შემდეგ. მაგრამ სინამდვილეში გამოირკვა რომ მოქ. ივანემ უკვე მიიღო სოციალური დახმარება და აღმოჩნდა რომ საწყალი პეტრეს თხოვნა კი, რომელიც ივანეზე ორი თვით ადრე ჰქონდა შეტანილი, ჯერ კომისიას არც კი განუხილავს და მოხდა ისე, რომ პატარა ნომერი დიდ ნომერს დაუჩრდილავს. რას გვეუბნება ეს ფაქტი? რასაკვირველია იმაზე მეტს არაფერს, რომ მომხდარა და ხდება ის არა სასურველი ამბავი, რაც, როგორც წინეთ, ისე ახლაც ადგილი ჰქონია ჩვენს „პირუთვნელს" და ტანჯულ ცხოვრებაში და რის მოწმეც არის თვით ის ღარიბთა ხალხის კლასიც, რომლისთვისაც ჩვენ მიერ ხსენებული დაწესებულებები არის შექმნილი, მაგრამ იგი მას ვერ იცნობს.

დეტალურად მრავალი ფაქტების აღნუსხვა იმის მოსაზრებით რომ წერილი არ გაგრძელდეს, რა თქმა უნდა შეუძლებელია და ამიტომ მოკლედ ჩვენ ვამბობთ, რომ საზოგადოდ გარდამავალ ხანაში და რევოლიუციის პროცესში რასაკვირველია აქვს მრავალ დეფექტებს ადგილი, ჩვენ სხვაფრივ ვერც კი წარმოგვიდგენია თანამედროვე ცხოვრების გარდაქმნა; მაგრამ ყოველ შემთხვევაში გაუგებრობას, შეცდომებს და სხვა და სხვა დეფექტებსაც საზღვარი უნდა ჰქონდეს წერტილის დასმით და მთელი ცდა იქითკენ უნდა იყოს მიმართული რომ თუ სავსებით ვერ შევსძლებთ უსამართლობის განადგურებას—ყოველ შემთხვევაში—შენელდეს მაინც.

მუშა დ. მელია.

## ახალი ამბები

— **სახალხო უნივერსიტეტები.** ლექციები სახალხო უნივერსიტეტებში, ტფილისის სამ რაიონში იკითხება: საბურთალოზე, ორთაჭალაზე და ნაძალადევში. მახლობელ სემესტრში დაიწყება მეცადინეობა თელავის სახალხო უნივერსიტეტში.

მივლინებაში არიან გაგზავნილი ინსტრუქტორები დიდოეთსა ალბულადსა, საგარეჯოსა, მანგლისა, სართიჭალასა და კოჯორში ადგილობრივ ლექციების ორგანიზაციისათვის პირობების გასაცნობად. მიღებულია სასწრაფო ზომები სახალხო უნივერსიტეტთა მოსაწყობად რესპუბლიკის მთავარ ცენტრებში.

— ჩაქვაში შეკრიბეს 6,933 გირვანქა ჩაის ფოთოლი, იყიდეს 686 გირვანქა ჩაი.

— ოსმალეთიდან მოვიდა 8 ფელუგა და 2 მოტორი დატვირთული ფქვილით, მანუფაქტურით, შაქრით და ყავით, ანატოლიის ნავთსადგურებისკენ წავიდნენ: 1 მოტორი დატვირთული ნავთით და გემი „ფრანც-ფერდინანდი".

— ხუთშაბათს, 7 ივლისს გაიმართება პოეზიის აკადემიის მორიგი სხდომა. წაიკითხავენ მოხსენებას: გ. რობაქიძე, ტ. ტაბიძე, იაშვილი; „ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზია", დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

— **ფეიქართა პროფკავშირში.** ივნისის 24 ფეიქართა პროფკავშირის გამგეობის გამართულ სხდომაზე დაადგინეს: მიენდოს ეკონომიურ განყოფილებას მიიღოს სასწრაფო ზომები ბამბის მალე მისაღებად, რათა ქარხნებში მუშაობა არ შეჩერდეს.

— **სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატთან არსებულ კომისიის მიერ ძველი ტანისამოსის დარიგება.** სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატთან არსებული ძველი ტანისამოსის დამრიგებელი კომისია გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: ვინაიდან დაწესებულებებიდან და წარმოებიდან შემოვიდა 900 თხოვნა 60,000 მეტ კაცის დასაკმაყოფილებლად და მიიღო რა მხედველობაში, რომ თხოვნების განხილვა, უმთავრესად კი მთხოვნელთა დაკმაყოფილება საწყობებში არსებულ ტანისამოსის რიცხვს არ ეთანხმება, ახალი თხოვნების მიღება დროებით შეწყვეტილია განსაკუთრებულ დადგენილებამდე.

— **შინაგან საქმეთა კომისარიატში** დუშეთის მაზრაში ხევსურებმა (მთიულმა ქართველებმა) ხელმეორეთ თვითნებობით დახნეს მიწა ნაჭრები, რომელიც ეკუთვნოდა სოფლებს; მაგრაანს, ლაფარიანთ კარს და შვინდათ ველს. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ამ სოფელთა რწმუნებულის შუამდგომლობით გასცა სასწრაფო ბრძანება დუშეთის რევკომისადმი, რათა დაუყონებლივ გაანთავისუფლონ ხევსურებმა მათ მიერ დაჭერილი მიწები და ხსენებულ სოფლების მიდამოებიდან ისინი გადაასახლონ.

— **ქალაქის რევკომში.** კომუნალურ განყოფილების გამგე ამხ. სოკოლოვი განთავისუფლებულია თავის მოვალეობის ასრულებიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მისი მივლინების გამო. კომუნალურ განყოფილების გამგეთ ინიშნება ამხ. გოგოტიშვილი ქალაქის რევკომის პრეზიდიუმის წევრის მოვალეობის ასრულებით, რომელიც განთავისუფლებულია მუშა-გლეხთა ინსპექციისა და სამმართველოს განყოფილებათა გამგის მოვალეობისაგან.

— **საგარეო ვაჭრობისათვის.** საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საგარეო ვაჭრობის კავშირმა მიმართა სომხეთის ს. ს. რ. საგარეო საქმეთა კომისარს ამხ. ბეკზადიანს, აზერბაიჯანის ს. ს. ს. რ. ამხ. ალიევს და საქართველოს ს. ს. რ. ამხ. მდივანს შემდეგი განცხადებით. „მიიღო რა მხედველობაში საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სოციალისტურ რესპუბლიკის გაერთიანება საგარეო ვაჭრობის სფეროში, გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიამ ა. წ. ივნისის 24-ს განიხილა ერთგვარი ზომები, რომელნიც მოსპობენ საგარეო კანონმდებლობაში სიჭრელეს და საშუალებას მისცემენ უფრო მიზანშეწონილად მოეწყოს საქონლის გაზიდვა და შემოზიდვა აღნიშნულ რესპუბლიკებში. ზევით ნათქვამის გამო გაერთიანებულ საგ. ვაჭ. კოლეგია გთხოვთ თქვენ მიიღოთ ზომები საერთო საბაჟო პოლიტიკის გამომუშავებისათვის და ყველა მასალები ამ საკითხის შესახებ გამოგზავნონ გაერთიანებულ საგ. ვაჭ. კომისიაში, შესაძლებელ შეთანხმებისათვის, რადგანაც ამ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებულ საგ. ვაჭ. კომისარიატის გეგმაშეწონილ მუშაობისათვის გთხოვთ ამ მუშაობის შესასრულებლად მიიღოთ საჩქარო ზომები.

**შეცდომის გასწორება.**

ქ. გამსახურდიას გუშინდელ წერილში შეცდომა გაიპარა—სქოლიოში—რუსული გაზეთ წითელ კავკასიაში უნდა იყოს „ნაროდი კავკაზა"

## საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

**ზუგდიდის მაზრა.**

რამდენი ხანია ჩვენ მაზრაში პარტიული მუშაობა აღარ ყოფილა. მთავარი კომიტეტის მოქმედებამ სრულიად მოუსპო ჩვენ პარტიას არსებობის საჭიროება და ამხანაგებს გული აუცრუა ყველაფერზედ. პარტია სულს ლევდა, აღსასრული ახლოს იყო... მაგრამ მოგვივიდა ცნობა მეექვსე კონფერენციის მოწვევისა. სასწრაფოდ გაიმართა კრებები რაიონებში და გაიგზავნა დელეგატები. ცუდი ამბები მოგვიტანეს დაბრუნებულმა დელეგატებმა... უკანონოდ და შემთხვევით შექმნილ უმრავლესობას ძალადობა უხმარია, დაურღვევია ელემენტარული წესები კრებისა, კონფერენცია მიტინგად გადაუქცევიათ და კომიტეტების მოქმედების შესახებ კამათი არ დაუშვია. სირცხვილი ასეთ მოძალადეებს!

ჩვენი სალამი იმ ამხანაგებს, რომლებიც ასე გადაჭრით და გაბედულად იცავენ პარტიას გათახსირებისაგან, დანაწილებისაგან და ებრძვიან გამთიშველებს.

ახალი იმედებით და ახალი ენერგიით აღსავსენი შევუდგებით პარტიულ მუშაობას. არის ხალხი და დიდი სურვილი. სულ მოკლე დროში აღდგენილი და შექმნილია 19 ორგანიზაცია. მალე ავიყვანთ 30-მდე და მოვიწვევთ სამაზრო კონფერენციას. ხელ ახალი რეგისტრაცია კარგად მიდის. მშრომელი გლეხობა ასობით ეწერებიან ჩვენს პარტიაში. ვეცადოთ და და იმედებს ნუ გავუცრუებთ:

მოგვაწოდეთ კიდევ სარეგისტრაციო ბარათები.

მუკუ.

## რადიო

**მიღებული ცოდნა გადაეცა სხვასაც**

მოსკოვი. ბრიანსკის საგუბერნიო სახალხო განათლების განყოფილებამ სახალხო განათლების მოღვაწეთა კადრის გაძლიერების მიზნით მობილიზაცია მოახდინა ყველა იმითი, ვინც კი დაამთავრა მეორე ხარისხის სკოლა და გაიარა სამ თვიანი პრაქტიკული სტაჟი და მოკლე ვადიანი პედაგოგიური კურსები.

**კოოპერაციის ახალი ფორმა**

პეტროგრადი 24-6. პეტროგრადის მუშათა კოოპერაციამ ახალი ფორმა მიიღო. მუშათა ცენტრალურ კოოპერატივის ნაცვლად სდგება მომხმარებელთა ერთი საზოგადოება, რომელშიც შევა მუშათა პეტროკომუნის ცენტრალური კოოპერატივი. მუშათა კოოპერატივები დარჩება მხოლოდ წარმოებებთან პროფკავშირებში.

**წვიმის შედეგები.**

ვლადიმირი 24-6. სუდოგოცკის მაზრაში აქ უკანასკნელად მოსულ წვიმის მეოხებით ჭინჭვრები, ბალახი და ბოსტანი უმჯობესდება.

## კიდევ დავკარგეთ!

თავზარი დამცა გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტ"-ში მოთავსებულმა წერილმა, რომელიც გვატყობინებს გრიშა ჩაჩავას უდროოდ დაკარგვას.. დავკარგეთ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ რამოდენიმე თვის წინედ განგვშორდნენ საუკეთესო მებრძოლნი და თავ-დადებულნი მშრომელნი „სოციალიზმ-ფედერალიზმი"-სათვის, ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ თვალწინ გვიდგას უდროოდ დაკარგულთა ამრეზილი პალიკო ბეჟაკენაძისა, შალვა ტურაბელიძისა და სხვების, რომელნიც შეეწირენ მსხვერპლად თავიანთ იდეებს. დიდია დანაკლისი ამ იდეების მებრძოლთათვის, რომელსაც ყველაზე უფრო იგრძნობს ქუთაისის ახალგაზრდობა, რომელთაც დიდ დარიგებასა და ხელმძღვანელობას უწევდნენ ჩვენი დაუვიწყარნი მებრძოლნი და მეგობრები. გრიშა! ეს იყო პატიოსანი და ტანჯვაში აღზრდილი ახალგაზრდა, მებრძოლი საუკეთესო იდეალებისათვის, რომელთა განხორციელებისათვისაც არ იშურებდა უკანასკნელ თავის სიცოცხლესაც კი. პალიკო, შალიკო, გრიშა! უდროო არის ასეთ პირთა სიკვდილი, რომელშიდაც ვეძებდით საუკეთესო მომავალ მებრძოლთ. ქართველი ერის ინტერესებისათვის. ქუთაისის გიმნაზიები ხარობდნენ და ამაყურად გამოიყურებოდნენ ასეთ გმირების აღზრდით. უ[illegible] ის ჯგუფი, რომელიც ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული მიეშურებოდნენ საერთო მიზნისათვის. მახსოვს ქუთაისში როგორ შრომობდნენ და კითხულობდნენ ლექციებს პარტიულ კლუბებსა და მის გარეშეთაც, რომლებიც მიმართული იყო მოწაფეთა გასათვითცნობიერებლად, მათში ბრძოლის უნარისა და ცოდნის შესატანად. მართალი უნდა ითქვას, რომ თუ ქუთაისის ახალგაზრდათა დიდი უმრავლესობა სოციალისტ-ფედერალისტების დროშის ქვეშ იყრის თავს, ეს უნდა მიეწეროს ჩვენი ამხანაგების დაუღალავ შრომას, რომელთა შორისაც ერთი საუკეთესო ადგილი ეჭირა ჩვენს დაუვიწყარ მებრძოლ გრიშა, ჩაჩავასაც. დიდი იყო ამხანაგო გრიშა შრომა შენი ჩვენდამი გაწეული, მაგრამ არა ნაკლები იყო პატივი და ნდობა ჩვენი შენდამიც. შენს ასეთ ღვაწლს არ დაივიწყებს ჩვენი პარტია, რომლისათვისაც შენ თავგამოდებით იბრძოდი და მით უმეტეს არ დაგივიწყებთ არასოდეს ქუთაისის ახალგაზრდობა და მუდამ პატივით მოიხსენიებს დაუვიწყარს და მშრომელთათვის თავდადებულ მებრძოლ ამხანაგს. გრიშას.

გრიშა ახათაიანი.

## საბჭოთა სომხეთი

გაზეთ „კარმირ-ასტღში" მოთავსებულია შემდეგი: საბჭოთა სომხეთის შესახებ ქალაქში გავრცელებულია სხვა და სხვა პროვოკაციული ხმები. ამის გამო ჩვენ მივმართეთ საბჭოთა რევკომის წარმომადგენელს ამხ. შავერდოვს, რომელმაც ჩვენს შეკითხვებზე ღიმილით გვიპასუხა: „ყოველი სისულელე არაა ყურადღების ღირსი, ყოველ—ეჭვიანობას გაუფუჭავს დრო. სომხეთში დაწყებულია გაძლიერებული სააღმშენებლო მუშაობა და იქ მდგომარეობა იმდენად დამშვიდებულია, რომ ერევანში გადაგვაქვს სომეხ-მხატვართა გამოფენა, რომელიც ამ დღეებში ტფილისში დაიხურა. ჩვენ არც კი მიგვაჩნია საჭიროდ ამ პროვოკაციულ ხმების უარყოფა.

## კოოპერატიულ ორგანიზაციათა უფლებანი

აღნიშნულ ფონდების უცხოეთის ბაზარზე რეალიზაციისათვის აღნიშნულ რესპუბლიკათა საგარეო ვაჭრობის საშუალებით, კავშირის კოლეგიის საჭიროთ მიაჩნია, რომ როგორც კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ შეგროვებული ნედლი მასალის ფონდი, აგრეთვე ის საქონელი, რომლებიც შეიძლება შესყიდულ იქნას უცხოეთის ბაზარზე კოოპერატიულ ორგანიზაციების ჩვენებით უნდა შეადგენდეს მათ სრულ საკუთრებას და უნდა იყოს მათ სრულ განკარგულებაში. ვიღებ რა მხედველობაში იმ შეხედულებას, რომელიც დამყარდა კოოპერატიულ ორგანიზაციების შესახებ მხოლოდ ჩვენ რესპუბლიკაში, სადაც კერძო ვაჭრობა არსებითად არ არის აკრძალული, მაგრამ სხვა საბჭოთა რესპუბლიკაშიც კი, როგორიც არის რ. ს. ფ. ს. რ. სადაც კერძო ვაჭრობა სრულიად იყო მოსპობილი, გაერთიანებული საგარეო ვაჭრობა ითვლებოდა აუცილებლად, საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი (აზერბაიჯანის ს. ს. რ. სახალხო კომისარიატთა საბჭო და სომხეთის ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი) ითხოვს ისეთ საკანონმდებლო აქტის გამოცემას, რომლის ძალითაც კოოპერატიულ ორგანიზაციების ზემო აღნიშნული უფლებები საგარეო ვაჭრობის სფეროში უნდა იყოს სათანადო დეკრეტით უზრუნველყოფილი. ამას უნდა ჰქონდეს სრული გარანტია იმისა, რომ არ ჩამოერთმევა გამზადებული ნედლი მასალა და საექსპორტო ფონდი.

## ბრძანება № 3.

თეატრის დარგში მომუშავეების ს. ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიიდან გასვლის ნებართვის შესახებ.

1) აკადემიურ ცენტრის სანახაობითი ნაწილის ნება დაურთველად აკრძალულია თეატრის დარგში მომუშავეთა ს. ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიიდან საზღვარ გარეთ გასვლა.

2) აღნიშნულ ბრძანების პირველი მუხლის დამრღვევნი დაისჯებიან რევოლიუციონურ კანონის მთელი სისასტიკით.

3) ბრძანება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

აკადემიური ცენტრის გამგე დ. კანდელაკი. მთავარ სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე გრ. რობაქიძე სანახაობითი ნაწილის გამგე შალვა დადიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4.**

სახელმწიფო თეატრების მოღვაწეთა შვებულების და მივლინების შესახებ.

1) სახელმწიფო თეატრების მოღვაწეთ შვებულება მიეცემათ მხოლოდ აკადემიურ ცენტრის სათეატრო განყოფილების გამგის ნებართვით.

2) სახელმწიფო თეატრების მოღვაწეთა დროებით გაწვევა რომელიმე დაწესებულებების მიერ რაიმე საჭიროებისათვის „შეიძლება მოხდეს მხოლოდ აკადემიური ცენტრის სათეატრო განყოფილების გამგის დასტურით.

3) ბრძანება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა. აკადემიური ცენტ. გამგე დ. კნადელაკი მთავარ სახელ. კომ. თავმჯდომარე გრ. რობაქიძე, სანახაობითი ნაწილის გამგე შალვა დადიანი

# მგზავრის შთაბეჭდილებანი

2.

რუსეთისაკენ.

ზავი ქალაქიდან უკვე იწყება რკინის დობეები და თხრილები, ეს გრძელდება თითქმის მოსკოვის კარებამდე. უტყობა რევოლიონერები ერთის მხრივ და ბოლშევიკები მეორეს მხრივ ენერგიის დაუზოგველად ემზადებოდენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. მთელ მგზავრობაში, როსტოვამდე განსაკუთრებით თქვენ ხედავთ უთვალავ ორთქლმავლებს და ვაგონებს გაფუჭებულს, სრულებით დამტვრეულს ან და ლიანდაგიდან გადმოგდებულს და ნაწილ-ნაწილად დაშლილს. შეხვდებით აგრეთვე სხვა და სხვა ატამანების ვაგონებს დანგრეულს, მაგრამ წარწერა, ორთავიანი არწივი და რევოლიციონური დროშა შერჩენია მას დღემდის. თითქმის ყოველი სახლი განსაკუთრებით მთიულების რესპუბლიკის ფარგლებში და რკ. გზის ლიანდაგთან გაცარცულია, სახურავები გადაძრობილი, ფანჯრები ამოღებული ან ჩამტვრეული...

როსტოვამდის პურის შოვნა ადვილია შედარებით იაფ ფასებში, განსაკუთრებით დაუვიწყარი იქნება ყოველი მგზავრისათვის სადგ. პროხლადნაია აქ მოიგონებთ ძველ „კურთხეულ" დროს. თეთრი ღრუბელივით პური თავზე საყარათ იყო გირვანქა 1000 მ. (ოცი დღის შემდეგ უკვე 3000 მ. გახდა (იმ დროს როდესაც მოსკოვში ისეთივე პური 5 6 ათასი ფასობს. ასეთ მდიდარ სადგურებს თან ახლავს აუარებელი ქალი და კაცი ტომრებით ზურგზე.

პროხლადნაიაში მატარებლის რამოდენიმე დღით მოლოდინში, შეგროვილია აუარებელი ტომრებით ოატვირთული ხალხი, ესენი რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსულან ფქვილის და პურის შესაძენად ზოგი ფულზე, ზოგიც საქონლის გადაცვლით. შეიძლება ითქვას, რომ გარდა მცირე რიცხვისა, მუშა-მოსამსახურეთა ცოლებისა, დაუღალავად ხარჯავს ენერგიას სასპეკულიაციო მიზნით. ყოველი მატარებელი სამგზავრო, საბარგო, ნავთის, მაზუტის სულ ერთია ზედ ტომრებით რაინდულათ შემოსკუპებულან მეტომრე ქალები და კაცები და მიეშურებიან. იშვიათია ისეთ კაცს შეხვდეთ, რომ ტომარა არ ქონდეს. გასაოცარია რა ენერგია ყოფნით ამ ხალხს, მატარებლების დღეებით ცდა, მგზავრობის დროს ათასგვარი განსაცდელი, სადგურში, ზოგი გარედ და ზოგიც აგიტპუნქტის ზალაში მიყრილნი, ძალაუნებურად ისმენენ „დაფრთოვანებულ „რეჩებს", მაგრამ რამდენი შერჩებათ მათ ტვინის უჯრედებს ცხადია ყველასათვის. მე თუ არ ვცდები წინად რუსის ხალხი ნაკლებ კომერციული იყო, მაგრამ ეხლა კი დავრწმუნდი, რომ ჭეშმარიტად გასჩენია რუსის ხალხს კომერციული ძარღვი. აკი ნათქვამია: გაჰქირდება მაჩვენე, გაქცევას გაჩვენებო.

სადგ. ბესლანში ვხვდებით ერთ ქართველ გლეხს დუშეთის მაზრიდან. მისგან გავიგე, რომ აქ ცხოვრობს 8 კომლი ქართველები, ერთი იმერელიც. უკვირა მიუხედავად იმისა, რომ ისინი გადმოხვეწილნი არიან სამშობლოდან თითქმის ოცი წლის განმავლობაში, ქართული ენა როგორც მათ, აგრეთვე ბავშვებმაც კარგად იციან.

როსტოვიდან იწყება შიმშილობის ზონა, გასულ წელს აქ მოსავალი არ ყოფილა და პურის ნატამალიც არც ერთ სადგურზე არ სჩანს. როსტოვში გავიცანი ერთი ქართველი რკინის გზელი მუშა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა თურმე აზერბეიჯან-საქართველოს ომში, ის კომუნისტი იყო და სრული შეგნებით მოეშურებოდა წითელ ჯართან ერთად საქართველოს მშრომელ ხალხის [გასანთავისუფლებლად,] მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ეხლა კი, როდესაც მისი სურვილი განხორციელდა, ის გამოსულა კომპარტიიდან: „მე დამნაშავე ვარ საქართველოს წინაშე და როგორ უნდა ვაიდე ჩემს სამშობლოშიო". ის თურმე ხშირად განიცდის ეროვნულ შევიწროებას, სამატარებლოც ხშირად ამტყუნებენ. როსტოვში, როგორც კონტრ-რევოლიუციის ბუდე—ქალაქში დიდი სისასტიკე არის გამეფებული. გარდა ცნობილი კომუნისტისა, ვერავინ გამოდის მუშების საზოგადო კრებაზე. მუშები ურსათის წესიერად ვერ ღებულობენ, ჯამაგირი მცირეა, სასადილოები მოუგვარებელი, ასე რომ პროლეტარიატი დიდ გაჭირვებას განიცდის. მიუხედავად ამისა უკმაყოფილების ნიადაგზედაც მუშები ვერ ახერხებენ რაიმე ორგანიზაციულ მუშაობას, რადგან ეს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში შეუძლებელად არის აღიარებული. ქალაქში განსაკუთრებით სადგურთან და ხიდთან საშინელი უსუფთაობაა. გასაოცარია, რატომ ასეთ ეპიდემიის დროს სათანადო ორგანოები არ ღებულობენ ზომებს. მრავლად შეხვდებით აქ დაწნაკელ ტყვეებს. ისინი მუშაობენ ძალებით სამუშაოზე. ქუჩების სახელები შეცვლილია ენგელსის, მარქსის და სხვა სახელებით. ქალაქში მოწყობილია მრავალი თეატრები და ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. სადგურში პირველი კლასის დარბაზში აგიტპუნქტში მოწყობილია ამაღლებული ადგილი ორატორისათვის და სდგას პიანინო. საერთოდ პიანინოებს შეხვდებით თითქმის ყველა მოზრდილი სადგურების დარბაზში. ყველა მცოდნე არ მცოდნე ვარჯიშობს და საჩქაროდ სწავლობს დაკვრას, ბაღებში და კლუბებში უკრავს მუსიკა.

კულტურულ ორგანიზაციებს მთავრესად სათავეში უდგანან თვით მუშები და წარმოდგენებსაც უფასოდ უმთავრესად პროლეტარიატი და მოსწავლე ახალგაზრდობა ესწრება. გამოდის ადგილობრივი გაზეთები.

ქუჩებში ხშირად ხვდებით შინაარსიან მოწოდებებს: მაგ.

სიბნელიდან—სინათლისაკენ
იარაღიდან—წიგნებისაკენ
უვიცობიდან—განათლებისაკენ.

აგრეთვე მრავლად არის გაკრული პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მოწოდებები!

მაგ. пока в Польше правительство панов, рабоче-крестьянская Россия находится в опасности... და სხვა.

ვორონცოვის და რიაზანის გუბერნიებში სიმშილობაა. ფულზე სოფლის დედაკაცები არას ყიდიან (მაგ. რძესაც ნატებ პურზე სცვლიან). ხარკოვის გზით მოგზაურობა დღემდის საშიშია, რადგან მატარებლების შეჩერება და გაძარცვა ხშირი მოვლენაა. ჩვენს ყრილობაზედაც ჩამოვიდნენ უკრაინის დელეგატები, რომლებიც გაუცარცვიათ და თავიც დალილავებული აქვთ.

თერთმეტი დღე და ღამე და ჩვენც საბჭოთა რუსეთის ცენტრალურ მოსკოვში ვართ.

მ. ტუღუში.

# ქორწინების უფლებრივი მხარე

(სამოქალაქო მდგომარეობის აქტის გამო).

ამ დღეებში გამოქვეყნდა სამოქალაქო მდგომარეობის აქტი. ეს აქტი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. უმთავრესად იგი ეხება ქორწინების უფლებრივ საფუძვლებს და აღნიშნავს იმ პირობებს, რომელიც დაცული უნდა იქნეს, მის შესრულების დროს. ამ მხრით ბევრი დადებითი მხარე აქვს ამ აქტს, მაგრამ აქვს დიდი უარყოფითი მხარეც.

ჩვენ ვიცით, რომ სქესობრივი ურთიერთობა, იმთავითვე სოციალურ ურთიერთობას დაუკავშირდა, მისი სახე მიიღო. რომ უყურადღებოდ დავტოვოთ, ქორწინების ფორმათა ისტორია და მის სხვადასხვა სახე, რაც მეტად ბევრ ადგილსა და დროს მოითხოვს, საკმარისია აღვნიშნოთ უფრო ახლობელი დრო ქორწინების ფორმისა და მისი უფლებითი საფუძვლისა.

კათოლიციზმმა გაამეფა აზრი სულების შეერთებაზე და ეს აზრი გადაიტანა ქორწინების შესახებ, რომელმაც შემდეგ საიდუმლოების (таинство) ხასიათი მიიღო.

დღეს დღეობით ეს მხარე გადალახულია. აგრეთვე მოსპობილია ქალის პიროვნების მოწმობა მამაკაცის უფლებეთა წინაშე.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტში ქორწინების საჭირო პირობაში აღნიშნულია წლოვანება, რის ქვემოდ ქორწინება შეუძლებელია. ასეთი ციფრები საზღვრავენ მას, ქალი 15 წ. ვაჟი 17 წ. თავის თავად ასეთი ნორმა ყველასთვის შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიღებული უნდა იყოს ინდივიდუალური სიმწიფე ქორწინებაში შემსვლელისა. მეორე მხრით, არ კმარა, რომ სარწმუნოება და მონოზონობა არ უშლიდეს ქორწინებას. ამის მაგიერათ აუცილებლად საჭირო არის ექიმის მოწმობა, ორივე ჯანმრთელობისთვის, სიმძიმე საკითხისა სწორედ ამაშია და არა ერთი და მთელი ორი სოციოლოგი, მეცნიერი, მედიკი და იურისტი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ღვდელების მოწმობა კი არ არის საჭირო ქორწინებისთვის, არამედ ექიმის დასტური.

რომ უფრო ნათელი გახდეს ეს ჩვენი დებულება, მოვიყვანთ ციტატიდენ ცნობებს იმის შესახებ, თუ რაოდენ უბედურებას ბადებს მეუღლეთა ავადმყოფობა მათ ჯანმრთელობისა და შთამომავლობის მიმართ..

საფრანგეთში, კონსტიტუციის საშუალებით, 1884 წ. დაკანონდა განქორწინების უფლება და განქორწინდა ცოლ-ქმარნი:

| | |
|---|---|
| 1884 წ.—1757 | 1900 წ.— 7,820 |
| 1885 „—4127 | 1905 „—10,019 |
| 1890 „—6557 | 1906 „—10,573 |
| 1895 „—7700 | 1907 „—10,938. |

რა იყო უმთავრესი მიზეზი განქორწინებისა? განქორწინების მიზეზი უმთავრესად ვენერიული ავადმყოფობა იყო, ასეთივე მოვლენა გერმანია და შვეიცარიაში, ავსტრიაში, და შეერთებულ შტატებში. კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

შეერთებულ შტატებში განქორწინება მოხდა:

1867 წ.— 9,937
1880 „—40,387
1906 „—72,662.

გერმანიაში კი მსაჯულებმა განაჩენი გამოიტანეს განქორწინების:

1901 წ.— 7,914
1904 „—10,868
1907 „—12,489.

ცხადია ვენერიულ ავადმყოფობის გარდა სხვა ფაქტორებიც იყო განქორწინებისათვის, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ერთი მხრით გვიან ხდება დაქორწინება და მეორე მხრივ საშინლათ განვითარებულია პროსტიტუცია, როგორც მაგ. 1900—1901 წ. სტატისტიკით ითვლებოდა.

ლონდონში—250,000
პარიზში—100,000
პეტროგრადში—50,000

და სხვა მაშინ აშკარაა, რომ ვენერიულ ავადმყოფობა. ერთი უმთავრესი მიზეზია განქორწინების, რომელიც ამავე დროს ვერავითარ შედეგს ვერ აღწევს და ათასობით და ათი ათასობით იღუპება ჯანმრთელი ადამიანი.

ჩვენთვის ქართველებისათვის მსოფლიო ომს, იმდენი განადგურება ფიზიკურად არ მოუტანია ომში მოკლულის მხრით, რამდენიც მან მოგვიტანა ვენერიული ავადმყოფობის გავრცელებით. იშვიათად მოიპოვება ჯარის კაცი, რუსეთის ლაშქარში ნამსახური, რომ შეპყრობილი არ იყოს ამ საშინელი სენით.

კონსტიტუციის ისტორიამ იცის, რომ კონსტიტუცია და მისი შედეგი ვენერიული ავადმყოფობა ომის დროსა და მის შემდეგ ახალ პერიოდში მეტად ვითარდება, რასაც ადგილი ქონდა ჯვაროსანთა ომის დროს, საფრანგეთის რევოლიუციის დროს და სხვა ასე რომ ზემოთ მოყვანილ სტატისტიკას თუ რამდენიმე ნულს მივუწერთ შეიძლება მაშინ წარმოვიდგინოთ ევროპის ეხლანდელი მდგომარეობა ამ მხრით.

სწორედ ეს ერთად ერთი და უმთავრესი დებულება, რაზედაც უნდა აშენებულიყო სამოქალაქო მდგომარეობის აქტი უყურადღებოდ არის დატოვებული. ჯანმრთელობის შემოწმება ქალისა და ვაჟის აუცილებელი პირობაა, მათი ოჯახური ცხოვრების წესიერების და შთამომავლობის ჯამთელობის.

ქორწინების იდეალური დანიშნულება, როგორც კოლიერი ამბობს, იმაში კი არ არის, რომ ბავში წარმოშობოს ან აღზარდოს. წარმოშობა გარეშე ქორწინებისა შესაძლებელია, ეხლა აღზრდაც კი არის შესაძლებელი გარეშე დედისა, როგორც მაგალითად ძველ საბერძნეთში ზრდიდენ. ქორწინების დანიშნულებაა, ორივე პიროვნების სულიერ და ხორციელი სრულქმნა, მათი ორგანული კავშირია ფსიხოლოგიურად. ხოლო ვინც ფიზიკურად უკურნებელი სენით დაავადებულია, ცხადია რომ სრულქმნის მაგიერ სრული განადგურებით დასრულდება.

ამიტომ საჭიროა ჯამთელობის შემოწმება შეტანილ იქმნეს სამოქალაქო მდგომარეობის აქტში.

ორიოდე სიტყვა გვარის გამოცვლის შესახებ. აქტში აღნიშნულია, რომ „დაქორწინებულნი ატარებენ საერთო გვარს ქორწინების დროს მათ უფლება აქვთ გადაწყვიტონ, სასიძოს გვარს ატარებენ, საპატარძლოსას თუ შეერთებულ გვარს. მეუღლენი ატარებენ მათ საქორწინო გვარს, ქორწინების მთელი არსებობის დროს და აგრეთვე მას შემდეგაც: როდესაც ქორწინება მოისპობა".

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქორწინებისას ვაჟსაც და ქალსაც თავისი გვარი უნდა დარჩეს, როგორც ნიშანდობლივი თვისება მათი ინდივიდუალობისა. ხოლო შთამომავლობა უნდა მიდიოდეს ქალის, დედის გვარზედ. ამის შესახებ აქ არ შევჩერდებით, ხოლო თუ ვინმეს ეს აღნიშვნა არ დააკმაყოფილებს შემდეგ დავასაბუთებთ გვარის ხელუხლებლობის უფლებრივ საფუძვლებს და მის მნიშვნელობას ქალის პიროვნების ამაღლებისათვის და მის განთავისუფლებისათვის.

ხერ. ამაღლობელი.

# ლოტბარ ალ. მაისურაძის წერილი

თიბათვის 28 თავპოლიგანის მუზას გამგის წინადადებით, (ვინაიდან გუნდი უკვე მიღებულია მუზას მიერ) ჩემი გუნდი უნდა გამოსულიყო საკონცერტოდ ავლაბრის თეატრში საღ. 5 ნახ. საათზე. დანიშნულ დროს გუნდი გამოცხადდა. დახლოვებით 7 ნახ. საათზე დაიწყო მიტინგი სომხურ ენაზე და მეც ავიყვანე ჩემი მომღერლები თეატრის ზალაში; თეატრის გამგე ვინმე სომეხი ქალი მივარდა მომღერლებს სრულიად უმიზეზოდ და ერეკებოდა გარეთ. მე ავუხსენი ჩემი და გუნდის ვინაობა და ისიც თუ რისთვისაც მივსულვართ. ქალმა არ გაუწია ჩემს სიტყვებს არავითარი ანგარიში და გაკაპასებული ითხოვდა ჩვენს გარეთ გაყრას. მე კატეგორიულად უარი განვუცხადე მის შეუგნებელ თხოვნის შესრულებაზე. ამის შემდეგ გაავთრებული ქალი ავარდა ზევით, სადაც თავმოყრილ სომეხ შეიარაღებულ ახალგაზრდობას სთხოვდა თავის სიტყვების სისრულეში მოყვანას. მიტინგის შემდეგ გუნდმა შეასრულა თავისი საკონცერტო პირველი განყოფილება, რის შემდეგაც ვიღაც სომხის ტყუილი პოეტები ადიოდნენ სცენაზე და დამახინჯებული ენით ქართულად კითხულობდნენ ლექსებს. მომღერლები იყვნენ შეკრებილნი სცენის გვერდით ოთახში, რომელსაც სდარაჯობდა, როგორც შემდეგ გამოირკვა, შეიარაღებული სომეხი აგენტები. ადვილი ასახსნელია თუ რაოდენათ ვეუცხოვეთ იმ თეატრში სომხის დაწნაკელ შოვინისტურ შეიარაღებულ ქალ-ვაჟთა ახალგაზრდობას, შემდეგში დავინახავთ. სცენაზე „ტრიო"ს სიმღერის დროს ვხედავ შეიქმნა ჩოჩქოლი ჩემ მომღერლებში. დაუჭერიათ სრულიად უმიზეზოდ ერთი მომღერალი, მიუყოლებიათ მეორეც და მესამესაც უპირებდნენ დაჭერას. მე, როგორც ლოტბარი, მივალე ვიყავი მიმეღო ზომები. ავედით ზევით ოთახში, სადაც მწარე სურათი გადამეშალა თვალ წინ. ვხედავ, ვითომდა კომუნისტები, დანამდვილებით კი დაწნაკელი-შოვინისტური ქალ-ვაჟთა ახალგაზრდობა. ისეთი სიხარულით და [illegible] მოუწყვეს [illegible] შედგენას [illegible] დიდი სახელმწიფო მოღალატენი შევიპყრეთ. აღსანიშნავია აგრეთვე, ერთი სომეხი სტუდენტი, რომელიც განსაკუთრებით სიხარულს იჩენდა ვითომდა გამოძიებაში. ერთ ჩემ მომღერალს ამოსჩენია ფედერალისტთა-პარტიული ბარათი. რის შემდეგაც მომვარდა მე ეს სომეხი სტუდენტი და მეუბნება: „Хороши у вас хор, если и федералисты участвуют". მე ავუხსენი, რომ გუნდი არაა პარტია. მისი პარტია არის ხმა, სმენა და ცოდნა. და თუ რომელი მომღერალი რაიმე პარტიული რწმენისაა, როგორც მე, ისევე გუნდსაც არ შეეხება. და თუ დანამდვილებით სდევნიან ფედერალისტებს, გუნდში ძიებას უმჯობესია ასეთები ფედერალისტების რედაქციაში ეძიონ მეთქი ასე ამ რიგად, იმ ღამეს ჩემი თხოვნა სრულიად უშედეგოდ დარჩა და მომღერლები გაგზავნეს კომისარიატში, სადაც მთელი ღამე გაათენებინეს ბნელ სარდაფში, მეორე დილით სისხლის სამართლის მილიციაში და შემდეგ ჩეკაში—სადაც უკვე საბედნიეროდ არ მიიღეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ავლაბრის თეატრში, არც ერთი ქართველი და რუსი არ ერია. ჩვენ მივედით მათთან სამღერად, ჩვენ გვეგონა თუ მადლობით გამოგვისტუმრებდნენ, სამაგიეროდ ჩეკათი გაგვისმასპინძლდნენ. მივმართავ ყოველ გულწრფელ ქართველ და თუნდ რუს კომუნისტებსაც, გამოიძიონ ეს საქმე და დარწმუნდებიან რამდენად და რის შემდეგ გახდნენ ჩვენი მდევნელნი კომუნისტები. ათი-თერთმეტი წელიწადია არსებობს ჩემი გუნდი და მუდამ მადლობით დაბრუნებული კონცერტის შემდეგ და ის მოქმედება, რაც ავლაბრის დაწნაკელ შოვინისტურმა ქალ-ვაჟთა ამხანაგობამ, კომუნისტურ ქუდში გახვეულებმა გამოიჩინეს ჩვენს მიმართ, ეს წარუშლელი ზიზღი სამუდამოდ დარჩება ჩვენი ამხანაგების გულში.

ვაცხადებ, როგორც თავპოლიგანის მუზას გამგის, ისევე ავლაბრის ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ჩემი გუნდი დღეის შემდეგ ფეხს აღარ მისდგამს ავლაბრის თეატრში, რადგან შემდეგშიაც სომხის შოვინისტების—ლუკმად არ მინდა გახდეს ჩემი მომღერლები.

სახ. მომღ. გუნდის ლოტბარი
ალ. მაისურაძე.

რედაქტორი თედო [illegible].
გამომცემელი ფრ. მთავარი კომიტეტისა.

**დაიკარგა** მატრიკული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სააგრონომიო დარგის სტუდენტის
**მიხეილ ნიკოლოზის ძე ბრეგაძის**
სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1101

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა მიცემული ვანის (ქუთ. მაზრ. რევკომის მიერ მოწმობას ვაცხადებ გაუქმებულად პეტრე ივანის ძე ჩახუნაშვილი. 1104

კბილის ექიმი
**აპოლონ ურუშაძემ**
განაახლა ავადმყოფების მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
ხმარობს [illegible] (914 & 606) სქესობრივი უძლურება, ვენერიული ხუხუნათი და შარდვება.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ბეითალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ქიით ცხვრის სასუნთქ—მილის ავათმყოფობას ვქიმობ „ნეიმანის და ვესსელის" მეთოდებით. ვეძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2–5 ს. ბელინსკის ქ. № 2, ბინა 2. 38